

შპს ბინადარი 10
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს ბინადარი 10

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	194 828	2 598 139	122 720
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	1 510 891	-	132 405
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		586 221	645 275	1 464 717
მარაგები		1 705 259	9 345 064	8 148 398
მზა პროდუქცია		1 705 259	-	-
სხვა		-	9 345 064	8 148 398
სულ აქტივები		3 997 199	12 588 478	9 868 240
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		109 721	-	-
სავაჭრო ვალდებულებები		-	202 094	150 705
საგადასახადო ვალდებულებები		-	56 564	-
მოკლევადიანი ნაესხები		-	576 880	5 049 274
სახსრები		-	576 880	5 049 274
სულ ვალდებულებები		109 721	835 538	5 199 979
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		600 392	533 705	409 363
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3 287 086	11 219 235	4 258 898
სულ საკუთარი კაპიტალი		3 887 478	11 752 940	4 668 261
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 997 199	12 588 478	9 868 240
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 772 262	10 492 551	2 847 548
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		-	-	-



შპს ბინადარი 10

ს/კ: 405174172


ფინანსური ანგარიშგება 2023

შპს ბინადარი 10

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები		31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	3	921 285	6 813 126
საქონლის გაყიდვიდან		921 285	6 813 126
საერთო მოგება		921 285	6 813 126
სხვა საოპერაციო შემოსავალი		23 786	-
საპროცენტო ხარჯი	-	23 622	- 197 024
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	4 -	8 853 598	- 303 461
სულ საოპერაციო ხარჯები	-	8 853 434	- 500 485
საოპერაციო მოგება	-	7 932 149	6 312 641
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-	647 696
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი			
ოპერაციებიდან	-	7 932 149	6 960 337
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-	7 932 149	6 960 337
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	7 932 149	6 960 337
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		11 752 940	4 668 261
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	533 705	124 342
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის			
ბოლოს		3 287 086	12 467 242



შპს ბინადარი 10

საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	გადაფასების რეზერვი ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	392 624	4 446 134	-	4 838 758
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	16 739	-	-	16 739
გაცემული დივიდენდები	-	277 399	-	277 399
პერიოდის მოგება	-	90 165	-	90 165
ნაშთი - 31.12.2021	409 363	4 258 900	-	4 668 263
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	124 341	-	-	124 341
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	6 960 336	-	6 960 336
ნაშთი - 31.12.2022	533 704	11 219 236	-	11 752 940
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	66 687	-	-	66 687
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-7 932 149	-	-7 932 149
ნაშთი - 31.12.2023	600 391	3 287 085	-	3 887 478

შპს ბინადარი 10

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბინადარი 10“ (შემდგომში „კომპანია“) (ს.კ.: 405174172) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 04/11/2016. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რ-ნი, ამბერკი ტაბიძის ქუჩა, N 41.

კომპანიის მფლობელობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 100%- გიორგი ტალახაძე, 01024030127.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

შპს „ბინადარი 10“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და კომერციული ფართების მშენებლობა.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების

თარიღისთვის, თუ მაღალია შლბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ხარჯებად აღიარდება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები

გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება, მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოპერირაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 023	2 022	2 021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	126	126	126
ფული საბანკო ანგარიშებზე	194 702	2 598 013	122 594
სულ	194 828	2 598 139	122 720

2.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2023	2022	2021
	1 510 891	-	132 405
სულ	1 510 891	-	132 405

3.ამონაგები	2023	2022
	921 285	
შემოსავალი რეალიზაციიდან 18%-იანი დასაბეგრი ბრუნვა		6 743 126
შემოსავალი რეალიზაციიდან ნულოვანი		70 000
სულ	921 285	6 813 126

4.ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2023	2022
მარკეტინგული ხარჯი	258 474	285 525
კომუნალური გადასახადი		-
ბანკის საკომისიო	519	4 998
საჯარო რეესტრის ხარჯი	6 300	1 370
დაცვის მომსახურება		7 627
სამეურნეო ხარჯი	125	94
სხვა საერთო ხარჯი	38 206	3 847
სხვა საგადასახადო ხარჯი	8 549 974	-
სულ	8 853 598	303 461

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.